შპს „ჯორჯია სი ვეის“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის,

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2025

შინაარსი

	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
	კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
	კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
	კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
	კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
1	ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	12
2	მომზადების საფუძველი	13
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	15
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	24
5	ძირითადი საშუალებები	26
6	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
7	ფული და ფულის ეკვივალენტები	27
8	მარაგები	27
9	საიჯარო ვალდებულებები	27
10	კაპიტალი	28
11	გაცემული სესხები	28
12	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
13	მიღებული სესხები	29
14	შემოსავლები რეალიზაციიდან	29
15	სხვა საოპერაციო ხარჯები	29
16	მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	30
17	ფინანსური ხარჯები და შემოსავლები	30
18	ფინანსური ინტრუმენტები	30
19	ფინანსური რისკების მართვა	31
20	კაპიტალის რისკის მართვა	34
21	ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	34
22	გაუთვალისწინებელი გარემოებები	35
23	დაკავშირებული მხარეები	35
24	შესადარისო ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	36
25	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	37
26	კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება	38

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯორჯია სი ვეის“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯორჯია სი ვეის“-ის (შემდგომში „ჯგუფის’) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - პირობითი მოსაზრების საფუძველი - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ჯორჯია სი ვეის“-ის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს - ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის ოპერაციების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ძირითადი საშუალებების რაოდენობასა და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 6,894,553 ლარის ღირებულებით, ხოლო 2023 წლის მდგომარეობით 8,818,615 ლარი. ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითად საშუალებებსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტის პროცესში დადგინდა, რომ ჯგუფის მიერ გაცემულ სესხებზე არ მომხდარა ფინანსური შემოსავლის დარიცხვა. გამომდინარე აქედან ჩვენ ვერ დავრწმუნდით, რომ გაცემული სესხები ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამისად აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრავთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა გაცემულ სესხებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ ჯგუფის საკუთრებაში არსებული მარაგების ინვენტარიზაციას, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 712,894 და 302,196 ღირებულებით, შესაბამისად.

აუდიტის პროცესში, შვილობილ კომპანიასთან ჩვენ ვერ მივიღეთ დეტალური, სრული და ამომწურავი ფინანსური ინფორმაცია, შესაბამისად ვერ შევძელით კონსოლიდაციის ელიმინაციის ტრანზაქციების სისწორის დადასტურება სავაჭრო მოთხოვნებთან და სავაჭრო ვალდებულებებთან დაკავშირებით.

აუდიტის დასრულებამდე, ჩვენ ვერ მივიღეთ დასტურის წერილები, ვერ დავრწმუნდით 2024 წლის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნების საბოლოო ნაშთების სისწორეში, რომელიც შეადგენს 1,752,327 ლარს. ჩვენ ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტის დასრულებამდე, ჩვენ ვერ მივიღეთ დასტურის წერილები, ვერ დავრწმუნდით 2024 წლის ბოლოს სავაჭრო ვალდებულებების საბოლოო ნაშთების სისწორეში, რომელიც შეადგენს 758,036 ლარს. ჩვენ ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო ვალდებულებებთან თან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის

ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის)მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი"-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა),გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება.ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, გარდა პირობითი მოსაზრების აბზაცში აღწერილი საკითხებისა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრაზ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის ესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-798362)

ი. ნიკოლაძის N3,

თბილისი 0108, საქართველო

30 სექტემბერი, 2025

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია"-ს სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-798362)

ი. ნიკოლაძის N3,

თბილისი 0108, საქართველო

30 სექტემბერი, 2025

	შენიშვნები	12/31/2024	გადაანგარიშებული 12/31/2023	გადაანგარიშებული 01/01/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	6,894,553	8,818,615	10,341,567
აქტივი გამოყენების უფლებით		-	-	31,645,742
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6,894,553**	**8,818,615**	**41,987,310**
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	8	712,894	302,196	1,897,029
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,752,327	2,091,566	2,427,221
საგადასახადო აქტივები		62,522	-	-
გაცემული სესხები	11	10,262,904	7,776,001	2,431,800
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	2,678,606	5,769,923	6,041,097
სულ მოკლევადიანი აქტივები		**15,469,253**	**15,939,686**	**12,797,147**
სულ აქტივები		**22,363,806**	**24,758,301**	**54,784,456**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	10	611,601	530,456	210,188
დაგროვილი მოგება	10	11,890,254	12,236,773	12,470,491
სულ კაპიტალი		**12,501,855**	**12,767,229**	**12,680,679**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13	9,103,915	8,584,009	-
საიჯარო ვალდებულება	9	-	-	27,399,296
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**9,103,915**	**8,584,009**	**27,399,296**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	758,036	3,311,328	10,967,616
საიჯარო ვალდებულება	9	-	-	3,645,680
საგადასახადო ვალდებულება		-	95,735	91,185
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**758,036**	**3,407,063**	**14,704,481**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**22,363,806**	**24,758,301**	**54,784,456**

ხელმომწერი პირი:
დირექტორი: მალხაზი ფოჩხუა

30 სექტემბერი, 2025

შენიშვნები გვერდებზე 12-37 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

	შენიშვნები	12/31/2024	გადაანგარიშებული 12/31/2023	გადაანგარიშებული 01/01/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	6,894,553	8,818,615	10,341,567
აქტივი გამოყენების უფლებით		-	-	31,645,742
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6,894,553**	**8,818,615**	**41,987,310**
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	8	712,894	302,196	1,897,029
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,752,327	2,091,566	2,427,221
საგადასახადო აქტივები		62,522	-	-
გაცემული სესხები	11	10,262,904	7,776,001	2,431,800
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	2,678,606	5,769,923	6,041,097
სულ მოკლევადიანი აქტივები		**15,469,253**	**15,939,686**	**12,797,147**
სულ აქტივები		**22,363,806**	**24,758,301**	**54,784,456**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	10	611,601	530,456	210,188
დაგროვილი მოგება	10	11,890,254	12,236,773	12,470,491
სულ კაპიტალი		**12,501,855**	**12,767,229**	**12,680,679**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13	9,103,915	8,584,009	-
საიჯარო ვალდებულება	9	-	-	27,399,296
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**9,103,915**	**8,584,009**	**27,399,296**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	758,036	3,311,328	10,967,616
საიჯარო ვალდებულება	9	-	-	3,645,680
საგადასახადო ვალდებულება		-	95,735	91,185
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**758,036**	**3,407,063**	**14,704,481**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**22,363,806**	**24,758,301**	**54,784,456**

ხელმომწერი პირი:
დირექტორი: [illegible]

30 სექტემბერი, 2025

LLC GEORGIA SEA WAYS
415099020

შენიშვნები გვერდებზე 12-37 წარმოადგენს დანართს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

	შენიშვნები	2024	გადაანგარიშებული 2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	24,149,672	22,408,912
სულ შემოსავალი		**24,149,672**	**22,408,912**
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(1,924,062)	(1,843,584)
ხელფასების ხარჯი		(4,292,134)	(3,248,451)
გადაზიდვის ხარჯები		(243,396)	(724,749)
მომსახურების ხარჯები		(242,491)	-
მიწოდების ხარჯი		(5,096,373)	(3,712,871)
საკონსულტაციო ხარჯი		(185,947)	(136,015)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(12,236,258)	(11,364,142)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**(70,989)**	**1,379,100**
ფინანსური შემოსავლები	17	162,122	3,812
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	16	(286,941)	(505,109)
ფინანსური ხარჯები	17	(150,711)	(554,020)
არასაოპერაციო ხარჯი		-	(557,501)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		**(346,519)**	**(233,718)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/ზარალი		**(346,519)**	**(233,718)**
წლის სხვა სრული შემოსავალი		81,145	320,268
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		**(265,374)**	**86,550**

ხელმომწერი პირი:

დირექტორი: მალხაზი ფოჩხუა

30 სექტემბერი, 2025

შენიშვნები გვერდებზე 12-37 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7

შპს „ჯორჯია სი ვეის“
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნები	2024	გადაანგარიშებული 2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	24,149,672	22,408,912
სულ შემოსავალი		**24,149,672**	**22,408,912**
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(1,924,062)	(1,843,584)
ხელფასების ხარჯი		(4,292,134)	(3,248,451)
გადაზიდვის ხარჯები		(243,396)	(724,749)
მომსახურების ხარჯები		(242,491)	-
მიწოდების ხარჯი		(5,096,373)	(3,712,871)
საკონსულტაციო ხარჯი		(185,947)	(136,015)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(12,236,258)	(11,364,142)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**(70,989)**	**1,379,100**
ფინანსური შემოსავლები	17	162,122	3,812
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	16	(286,941)	(505,109)
ფინანსური ხარჯები	17	(150,711)	(554,020)
არასაოპერაციო ხარჯი		-	(557,501)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		**(346,519)**	**(233,718)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/ზარალი		**(346,519)**	**(233,718)**
წლის სხვა სრული შემოსავალი		81,145	320,268
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		**(265,374)**	**86,550**

ხელმომწერი პირი:

დირექტორი: მბლსაზი ფოჩხუა

30 სექტემბერი, 2025

 შპს ჯორჯია სი ვეის
415099020
LLC GEORGIA SEA WAYS

შენიშვნები გვერდებზე 12-37 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	სულ კაპიტალი
გადაანგარიშებული ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**-**	**12,470,491**	**210,188**	**12,680,679**
წლის ზარალი	-	(233,718)	-	(233,718)
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების ეფექტი	-	-	320,268	320,268
წლის სრული შემოსავალი	-	(233,718)	320,268	86,550
გადაანგარიშებული ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**12,236,773**	**530,456**	**12,767,229**
წლის ზარალი	-	(346,519)	-	(346,519)
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების ეფექტი	-	-	81,145	81,145
წლის სრული შემოსავალი	-	(346,519)	81,145	(265.374)
გადაანგარიშებული ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**11,890,254**	**611,601**	**12,501,855**

შენიშვნები გვერდებზე 12-37 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

	შენიშვნები	2024	2023
წლის შედეგი		(346,519)	(233,718)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	5	1,924,062	1,843,584
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	16	286,941	505,109
ფინანსური ხარჯი	17	150,711	554,020
ფინანსური შემოსავლები	17	(162,122)	(3,812)
საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		**1,853,073**	**2,665,183**
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	435,751	(163,394)
ცვლილება მარაგებში	8	(410,698)	1,601,109
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		(95,735)	4,550
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	12	(2,447,506)	(7,573,272)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში		(62,522)	-
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		**(2,580,710)**	**(6,131,007)**
გადახდილი პროცენტი	17	(21,907)	(172,769)
მიღებული პროცენტი	17	162,122	3,812
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		**(587,422)**	**(3,634,781)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	-	(320,632)
სესხის გაცემა	11	(7,834,840)	(4,365,227)
გაცემული სესხიდან შემოსავლის მიღება	11	5,208,985	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		**(2,625,855)**	**(4,685,859)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავლები ნასესხები სახსრებიდან	13	4,652,345	8,584,009
ნასესხები სახსრების გადახდა	13	(4,070,125)	-
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	9	-	-
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან		**582,220**	**8,584,009**
ფულადი სახსრებისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(2,631,057)	263,370
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(460,260)	(534,544)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		**5,769,923**	**6,041,097**
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		**2,678,606**	**5,769,923**

შენიშვნები გვერდებზე 12-37 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯია სი ვეის“ - დაარსდა 2017 წლის 7 მარტს. „Georgia Sea Ways” არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქალაქი - ფოთი, გეგიძის N20. კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 415099020.

შპს „ჯორჯია სი ვეის“-ის 100%-იანი წილის მფლობელი არის რომან მორგენშტერნ (19671006-01937, FJ285556 /უკრაინა), ხოლო დირექტორი - მალხაზი ფოჩხუა (42001006218, ერთპიროვნული).

შპს „ჯორჯია სი ვეის“ ოპერირებს ასევე შვილობილი კომპანია კორპორაცია „პოლონია თრეიდინგ“-ის (ID – 581291) მეშვეობით, რომლის რეგისტრაციის თარიღია 30 აგვისტო 2008 წელი, დირექტორი - იაჰაირა დე სედასი. შპს „ჯორჯია სი ვეის“-ი „პოლოია თრეიდინგ“-ის 100% ის მფლობელია 2020 წლის 20 იანვრიდან.

საშუალო დასაქმებულთა რაოდენობა 2024 წლისთვის იყო 9 თანამშრომელი (2023: 9 თანამშრომელი).

ძირითადი საქმიანობა. კომპანია “ჯორჯია სი ვეის“ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის მიზანია მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვა საზღვაო გზით. გემის ძირითად პროცესებში და ამ პროცესების მენეჯმენტში ჩართულია კომპანია შპს “UkrFerry”, რომლის მხრიდანაც ხდება გემის მომარაგება ყველა საჭირო ინვენტარით, ეკიპაჟის საკვებით და შესაბამისი კალკულაციებს აწვდის „ჯორჯია სი ვეის“, რის საფუძველზეც ხდება თანხების ჩარიცხვა მისი მხრიდან, ასევე საწვავით რაც გულისხმობს საწვავის კომპანიების მოძიებას (უშუალოდ ანგარიშფაქტურების მოწოდება ხდება უკვე ამ კომპანიებისგან). კომპანიას ასევე ყავს სამი აგენტი: საქართველოში - U&G Agency, უკრაინაში - GLOBALTRANSPAROM, თურქეთში - “Dabkovic Deniz Acenteligi Nakliyat Ve Ticaret A.S.”, რომელთა მოვალეობაა ტვირთბრუნვის ორგანიზება და მასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლი, კოორდინაცია, დათვლა, ტარიფების გაკონტროლება, ყოველდღიური შესაბამისი ფაქტურების წარმოება, ყველა ტვირთბრუნვის შესახებ გემზე მოაწოდოს ინფორმაცია გემის მფლობელ კომპანიას, მომუშავე პერსონალის ცვლილებების შესახებ და ასევე ცდილობს შეამციროს ხარჯები და დრო შესაბამისი ოპერაციებისთვის. ტვირთი ძირითადად მოიცავს: ჭურჭლის, სამზარეულოს ან სხვა საყოფაცხოვრებო პროდუქციას და მათ ნაწილებს შავი ლითონებისგან, ლითონის "მატყლის", სამზარეულოს სარეცხი მანქანების, საწმენდი ან გასაპრიალებელი ბალიშები, ხელთათმანები და მსგავსი ნაწარმი შავი ლითონისგან, სხვა უჟანგავი ფოლადისგან.

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2 მომზადების საფუძველი

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილიფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ ჯგუფი ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4.2).

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა თვითღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც აღრიცხულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.4 საოპერაციო ანგარიშგების ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.5 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და საღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.6 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2024 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ მიუღია სხვა არცერთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომლებიც გამოცემულია მაგრამ არ არის ეფექტური რეპორტინგ პერიოდისთვის.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმბები.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგებაზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2,8068 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2,9306 (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2,6894 ლარი, ერთი ევრო 2,9753). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა.
- გარიგების ფასის განსაზღვრა.
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

საოპერაციო შემოსავალი: ჯგუფის ძირითადი საოპერაციო საქმიანობა წარმოადგენს საზღვაო ტრანსპორტირების სერვისის განხორციელებას, რაც გულისხმობს ტვირთის გადაზიდვას საზღვაო გზით, სხვადასხვა დანიშნულების პორტებს შორის. ჯგუფი უზრუნველყოფს ლოჯისტიკური პროცესების კოორდინაციას, ტვირთების უსაფრთხო და დროულ მიწოდებასა და შესაბამის დოკუმენტაციის მართვას. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს ჯგუფის ძირითადი შემოსავლის წყაროს.

3.4 იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას იჯარით აღებული აქვს გემები. საიჯარო ხელშეკრულება, როგორც წესი, გაფორმებულია 2 -დან 7 წლამდე ვადით და ზოგიერთ მათგანს აქვს გაგრძელების ვადა. კომპანია არ აფორმებს გაყიდვებისა და უკუიჯარის შეთანხმებებს. ყველა იჯარა შეთანხმებულია ინდივიდუალურად და შეიცავს მრავალფეროვან განსხვავებებს.

კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

3.5 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

3.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კომპანიასათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და მშენებარე აქტოვებს ცვეთა არ ერიცხევა. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა კომპანია აღირიცხება ინდივიდუალაურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლში.

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (წელი)
საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტი	15

3.8 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.
ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი

ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება ფიფო მეთოდით.

3.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.11 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კოპმაანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება
ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ

კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა, ისევე როგორც, ფლობისთვის განსაზღვრულად კლასიფიცირებული ობლიგაციები, ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

ჯგუფი აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით.

ფინასური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 18- ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც ჯგუფმა შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო

მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3.12 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.13 საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებლ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

(ა)ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;

(ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტინის ანაზღაურებებს;

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითერბასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

4.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

ჯგუფი შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4.2 ძირითადი ვარაუდები მომავალთან დაკავშირებით

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

მენეჯმენტმა, იმის შესაფასებლად აქვს თუ არა ჯგუფს უნარი განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ შეაფასა არსებული და სამომავლოდ მოსალოდნელი ფულადი ნაკადები. მიმდინარე პერიოდში, ჯგუფის მთლიანი სრული ზარალი შეადგენს (346,519) ლარს.

აღნიშნული ზარალი, სხვა ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად, ზრდის გაურკვევლობას ჯგუფის მომავალი ფულადი ნაკადების მდგრადობასთან დაკავშირებით.

მენეჯმენტმა შეაფასა ხელმისაწვდომი ფულადი რესურსები, ვალდებულებების გადახდის ვადები, საკრედიტო ხაზები და მოსალოდნელი ფულადი ნაკადები. აღნიშნული შეფასების საფუძველზე მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ჯგუფს გააჩნია საკმარისი რესურსები ვალდებულებების დროულად დასაფარად და საქმიანობის გასაგრძელებლად.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, მენეჯმენტს სჯერა, რომ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების გამოყენება მართებული და შესაბამისია.

5 ძირითადი საშუალებები

	საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტი	სულ
თვითღირებულება		
01.01.2023	**18,484,062**	**18,484,062**
შემოსვლა	-	-
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშგების სხვაობა	320,632	320,632
31.12.2023	**18,804,694**	**18,804,694**
შემოსვლა	-	-
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშგების სხვაობა	435,921	435,921
31.12.2024	**19,240,615**	**19,240,615**
დაგროვილი ცვეთა		
01.01.2023	**(8,142,495)**	**(8,142,495)**
წლის ცვეთა	(1,843,584)	(1,843,584)
31.12.2023	**(9,986,079)**	**(9,986,079)**
წლის ცვეთა	(1,924,062)	(1,924,062)
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშგების სხვაობა	(435,921)	(435,921)
31.12.2024	**(12,346,062)**	**(12,346,062)**
საბალანსო ღირებულება		
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	**8,818,615**	**8,818,615**
საბალანსო ღირებულება 31.12.2024	**6,894,553**	**6,894,553**

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები ფინანსური წლის ბოლოს გადასინჯულია და მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა შეფასებებისაგან გამოვლენილი არ არის. შესაბამისად სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები არ არის. ჯგუფის ვალდებულებები არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებებით.

ცვეთის ხარჯი წარმოდგენილია მოგება-ზარალისა და სხვა სრულ ანგარიშგებაში.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2024	12/31/2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,615,315	1,913,608
სხვა მოთხოვნები	137,012	177,958
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,752,327**	**2,091,566**

სავაჭრო მოთხოვნების ვადა დამოკიდებულია ხელშეკრულებაზე. სახელშეკრულებო ღირებულების კორექტირება ხორციელდება ხელშეკრულების ვადის დასრულებისას.

მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი.

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19.1-ში.

7 ფული და ფულის ეკვივალენტები

	12/31/2024	12/31/2023
ფული ბანკში	2,678,606	5,769,923
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**2,678,606**	**5,769,923**

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ჯგუფს მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

ფული და ფული ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19.1-ში.

8 მარაგები

	12/31/2024	12/31/2023
ზეთები	360,744	302,196
საწვავი	352,150	-
სულ მარაგები	**712,894**	**302,196**

ჯგუფი ზეთებსა და საწვავს იყენებს გემებისთვის.

ჯგუფის ვალდებულება არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

9 საიჯარო ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023	01/01/2023
მოკლევადიანი	-	-	3,645,680
გრძელვადიანი	-	-	27,399,296
სულ საიჯარო ვალდებულებები	**-**	-	**31,044,975**

კომპანიას იჯარით აღებული აქვს გემები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახდელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობს სალიზინგო ვალდებულებების და შესაბამისი აქტივების საწყის აღიარებაში.

მიმდინარე და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებების რეკონსილაცია:

	მიმდინარე	გრძელვადიანი	სულ
2022 წლის 1 იანვარი	**(4,148,380)**	**(37,713,769)**	**(41,862,149)**
დარიცხული პროცენტი	(2,300,376)	-	(2,300,376)
გადახდილი პროცენტი	2,300,376	-	2,300,376
გადახდილი იჯარა	3,624,760	-	3,624,760
გადაფასება	523,620	6,668,793	7,192,414
გადატანა	(3,645,680)	3,645,680	-
2022 წლის 31 დეკემბერი	**(3,645,680)**	**(27,399,296)**	**(31,044,975)**
დარიცხული პროცენტი	(172,769)	-	(172,769)
გადახდილი პროცენტი	172,769	-	172,769
გადახდილი იჯარა	300,103	-	300,103
გადაფასება	3,345,576	(3,312,211)	33,365
გადატანა	-	-	-
გასვლა	-	30,711,507	30,711,507
2023 წლის 31 დეკემბერი	**(0)**	**0**	**(0)**

2023 წლის ბოლოდან საიჯარო ხელშეკრულება შეწყდა, შესაბამისად განულდა როგორც საჯარო ვალდებულებების ნაშთები, ისე აქტივი გამოყენების უფლებით.

10 კაპიტალი

ჯგუფის მთლიანი კაპიტალი 2024 წლისთვის შეადგენს 12,501,855 ლარს, ხოლო შესადარისი პერიოდისთვის იყო 12,767,229 ლარი. აქედან ჯგუფის ზარალმა 2024 წელს შეადგინა (346,519) ლარი, ხოლო 2023 წელს - (233,718) ლარი.

ასევე ჯგუფს აქვს ჯგუფს აქვს სამუშაო ვალუტიდან უცხოურ ვალუტაში გადაყვანის საკურსო სხვაობები, 2024 – 611,601 ლარის ოდენობით, 2023 – 530,456 ლარის ოდენობით. უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი წარმოადგენს კურსთაშორის სხვაობებს, რომლებიც წარმოიქმნა დოლარში მომზადებული შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ლარში გადაყვანისას კონსოლიდაციის მიზნით. აღნიშნული სხვაობები აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში და დაგროვებულია კაპიტალში როგორც უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი.

11 გაცემული სესხები

	12/31/2024	12/31/2023
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	10,262,904	7,776,001
სულ გაცემული სესხები	**10,262,904**	**7,776,001**

კომპანიას გაცემული სესხები აქვს დაკავშირებულ მხარეებთან.

გაცემული სესხები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19.1-ში.

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	294,013	3,057,408
ვალდებულება თანამშრომლების წინაშე	464,023	253,920
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**758,036**	**3,311,328**

სავაჭრო და სხვა ვალლდებულებბეში რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის განსხვავება. ყველა მათგანი არის მიმდინარე და ვადაგადაცილება არ აღირიცხება ჯგუფის უწყისში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19.1-ში.

13 მიღებული სესხები

	12/31/2024	12/31/2023
არაუზრუნველყოფილი სესხები	9,103,915	8,584,009
სულ მიღებული სესხები	**9,103,915**	**8,584,009**

ჯგუფს მიღებული სესხები აქვს შემდეგი კომპანიებისგან: AZTIN CORPORATION, REGINE MANAGEMENT S.A.

ჯგუფის მიღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებებით.

14 შემოსავლები რეალიზაციიდან

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	24,149,672	20,831,900
სხვა შემოსავალი	-	1,577,012
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	**24,149,672**	**22,408,912**

ჯგუფის შემოსავლების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს შემოსავლები ტვირთის გადაზიდვისგან.

ჯგუფი შემოსავლებს აღიარებს დროთა განმავლობაში.

15 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
საგადასახადო ხარჯები	(131,926)	(1,585)
საბანკო ხარჯები	(96,062)	(54,492)
საიჯარო ქირა	(3,600)	(3,600)

საკანცელარიო ხარჯები	(308)	(317)
კომუნალურები	(246)	(228)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(12,004,116)	(11,303,920)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(12,236,258)**	**(11,364,142)**

16 მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2024	2023
დადებითი საკურსო სხვაობები	2,006,865	1,923,359
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(2,293,806)	(2,428,468)
სულ მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	**(286,941)**	**(505,109)**

17 ფინანსური ხარჯები და შემოსავლები

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხიდან	162,122	3,812
სულ ფინანსური შემოსავლები	**162,122**	**3,812**

	2024	2023
საპროცენტო სესხებზე	(150,711)	(554,020)
მთლიანი ფინანსური ხარჯები	**(150,711)**	**(554,020)**

წმინდა ფინანსური შემოსავლები/ხარჯები	**11,411**	**(550,208)**

18 ფინანსური ინტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

	12/31/2024	12/31/2023
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,752,327	2,091,566
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	2,678,606	5,769,923
გაცემული სესხები	10,262,904	7,776,001
სულ ფინანსური აქტივები	**14,693,837**	**15,637,490**

ფინანსური ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
ამორტიზირებული ღირებულება		
სესხები	9,103,915	8,584,009
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	758,036	3,311,328
სულ ფინანსური ვალდებულებები	**9,861,951**	**11,895,337**

19 ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

19.1 საბაზრო რისკი

ჯგუფი არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფი დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ჯგუფი ოპერაციების ძირითად ნაწილს ახორციელებს ევროში. უცხოური ვალუტის რისკი ძირითადად უკავშირდება საზღვარგარეთ შესყიდვებს და გაყიდვებს, რომლებიც ძირითადად ევროშია ნომინირებული.

ქვედა ცხრილში მოცემულია ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. თანხები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლო დღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით:

2023	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,146,651	1,662,778	-	177,958.00	4,987,387
გაცემული სესხები	2,420,461	5,355,540	-	-	7,776,001
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,264,976	3,439,627	58	52,257	5,756,918
სულ ფინანსური აქტივები	**7,832,088**	**10,457,945**	**58**	**230,215**	**18,520,306**
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	755,420	15,579,394	-	24	16,334,838
მოკლევადიანი სესხი	-	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**755,420**	**15,579,394**	**-**	**24**	**16,334,838**
წმინდა პოზიცია	**7,076,668**	**(5,121,449)**	**58**	**230,191**	**2,185,468**

2024	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,581,728	1,519,894	-	-	4,101,622
გაცემული სესხები	2,526,120	7,736,784	-	-	10,262,904
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,047,205	1,615,159	13,493	168	2,676,024
სულ ფინანსური აქტივები	**6,155,053**	**10,871,837**	**13,493**	**168**	**17,040,550**
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	627,148	14,218,390	-	32	14,845,570
მოკლევადიანი სესხი	-	-	-		-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**627,148**	**14,218,390**	**-**	**32**	**14,845,570**
წმინდა პოზიცია	**5,527,905**	**(3,346,553)**	**13,493**	**136**	**2,194,980**

19.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

ჯგუფს არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე. ჯგუფი არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

ჯგუფი ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

31 დეკემბერი 2024	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)				
6 თვეზე ნაკლები	758,036	-	-	758,036
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-	-
1-5 წლამდე	-	9,103,915	-	9,103,915
5 წელზე მეტი	-	-	-	-
	758,036	**9,103,915**	**-**	**9,861,951**

31 დეკემბერი 2023	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)				
6 თვეზე ნაკლები	3,311,328	-	-	3,311,328
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-	-
1-5 წლამდე	-	8,584,009	-	8,584,009
5 წელზე მეტი	-	-	-	-
	3,311,328	**8,584,009**	**-**	**11,895,337**

ჯგუფი ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვის დროს, განსაკუთრებით მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. ჯგუფის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს. ფულადი ნაკადები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ყველა ხელშეკრულებით სრულდება 12 თვის განმავლობაში.

20 კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც ჯგუფი კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
მთლიანი კაპიტალი	12,501,855	12,767,229
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	-2,678,606	-5,769,923
კაპიტალი	**9,823,249**	**6,997,306**
მთლიანი კაპიტალი	12,501,855	12,767,229
სესხები	9,103,915	8,584,009
სრული ფინანსირება	**21,605,770**	**21,351,238**
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	**0.45**	**0.33**

21 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოდ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია ჯგუფს, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

ჯგუფის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	12/31/2024		12/31/2023	
	საბალანსო ღირებულება	**სამართლიანი ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**	**სამართლიანი ღირებულება**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,752,327	1,752,327	2,091,566	2,091,566
ფული და ფულის ექვივალენტები	2,678,606	2,678,606	5,769,923	5,769,923

გაცემული სესხები	10,262,904	10,262,904	7,776,001	7,776,001
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	758,036	758,036	3,311,328	3,311,328

22 გაუთვალისწინებელი გარემოებები

22.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვალებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანობსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს ჯგუფის წარდგენაზე.

23 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

23.1 ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წლის განმავლობაში ჯგუფს ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ნაშთები	2024	2023
მესაკუთრეები და სხვა დაკავშირებული მხარეები:		
სავაჭრო მოთხოვნები	1,081,799	932,237
გაცემული სესხები	7,776,000	10,262,904

23.2 ოპერაციები მენეჯმენტთან და ახლო ოჯახის წევრებთან.

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში:

მენეჯმენტზე გაცემული ხელფასები	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	23,128	17,700
სულ მენეჯმენტზე გაცემული ხელფასები	**23,128**	**17,700**

24 შესადარისო ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აღმოჩენილია შესადარისი პერიოდის შეცდომა, რომელიც დაკორექტირდა 2024 წლის აუდიტის მსვლელობისას. შესაბამისად ცვლილებები შევიდა როგორც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ისე კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

	შესწორებული 12/31/2023	კორექტირება	წარდგენილი 12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8,818,615	(368,856)	8,449,759
ინვესტიციები	-	64,010	64,010
სულ გრძელვადიანი აქტივები	**8,818,615**	**-304,846**	**8,513,769**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,769,923	1	5,769,924
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,091,566	25,268,547	27,360,113
მარაგები	302,196	1	302,197
გაცემული სესხები	7,776,001	(7,776,0010	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	**15,939,686**	**17,492,548**	**33,432,234**
სულ აქტივები	**24,758,301**	**17,187,702**	**41,946,003**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	530,456	(530,456)	-
დაგროვილი მოგება	12,236,773	225,605	12,462,378
სულ კაპიტალი	**12,767,229**	**(304,851)**	**12,462,378**
გრძელვადიანი ვალდებულებები			

მიღებული სესხები	8,584,009	(8,584,009)	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**8,584,009**	**(8,584,009)**	**-**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,311,328	26,076,562	29,387,890
საგადასახადო ვალდებულება	95,735	-	95,735
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**3,407,063**	**26,076,561**	**29,483,625**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**24,758,301**	**17,187,701**	**41,946,003**

25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ დაფიქსირებულა.

ხელმომწერი პირი:
დირექტორი: მალხაზი ფოჩხუა

_____

30 სექტემბერი, 2025

მიღებული სესხები	8,584,009	(8,584,009)	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**8,584,009**	**(8,584,009)**	**-**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,311,328	26,076,562	29,387,890
საგადასახადო ვალდებულება	95,735	-	95,735
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**3,407,063**	**26,076,561**	**29,483,625**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**24,758,301**	**17,187,701**	**41,946,003**

25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ დაფიქსირებულა.

ხელმომწერი პირი:
დირექტორი: მალხაზი ფოწხუა

30 სექტემბერი, 2025

შპს „ჯორჯია სი ვეის“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

ჯგუფის მიმოხილვა და ისტორია (ინფორმაცია სუბიექტის საქმიანობის შესახებ)

საერთაშორისო გადაზიდვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს საზღვაო გადაზიდვები მისი ეკონომიურობიდან და უსაფრთხოების მაღალი კოეფიციენტიდან გამომდინარე. კომპანია "ჯორჯია სი ვეის" ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის მიზანია მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვა საზღვაო გზით გადაზიდვის ხელშეკრულებით.

შპს "ჯორჯია სი ვეის" (ს.ნ. 415099020) - დაარსდა 2017 წლის 31 მარტს. შპს "ჯორჯია სი ვეის" არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქალაქი ფოთი, გეგიძის ქ. N20, ფ.5.

შპს „ჯორჯია სი ვეის" 100% წილის მფლობელი არის რომან მორგენშტერნი, ხოლო დირექტორი მალხაზი ფოჩხუა.

შპს „ჯორჯია სი ვეის" ოპერირებს ასევე შვილობილი კომპანია კორპორაცია „პოლონია თრეიდინგ"-ის (ID – 581291) მეშვეობით, რომლის რეგისტრაციის თარიღია 30 აგვისტი 2008 წელი, კომპანიის დირექტორია - იაჰაირა დე სედასი.

შპს „ჯორჯია სი ვეის" „პოლონია თრეიდინგ"-ის 100% ის მფლობელია 2020 წლის 20 იანვრიდან.

გემის ძირითად პროცესებში და ამ პროცესების მენეჯმენტში ჩართულია კომპანია შპს "UKRFERRY", რომლის მხრიდანაც ხდება გემის მომარაგება ყველა საჭირო ინვენტარით, ეკიპაჟის საკვებით და შესაბამისი კალკულაციებს აწვდის „ჯორჯია სი ვეის" რის საფუძველზეც ხდება თანხების ჩარიცხვა მისი მხრიდან, ასევე საწვავით რაც გულისხმობს საწვავის კომპანიების მოძიებას (უშუალოდ ანგარიშფაქტურების მოწოდება ხდება უკვე ამ კომპანიებისგან). კომპანიას ასევე ყავს სამი აგენტი: საქართველოში - U&G Agency, უკრაინაში - GLOBALTRANSPAROM, თურქეთში - "Dabkovic Deniz Acenteligi Nakliyat Ve Ticaret A.S.", რომელთა მოვალეობაა ტვირთბრუნვის ორგანიზება და მასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლი, კოორდინაცია, დათვლა, ტარიფების გაკონტროლება, ყოველდღიური შესაბამისი ფაქტურების წარმოება, ყველა ტვირთბრუნვის შესახებ გემზე მოაწოდოს ინფორმაცია გემის მფლობელ კომპანიას, მომუშავე პერსონალის ცვლილებების შესახებ და ასევე ცდილობს შეამციროს ხარჯები და დრო შესაბამისი ოპერაციებისთვის.

კომპანია "UKRFERRY" მიზნად ისახავს იმ ქალაქების საზღვაო ისტორიისა და კულტურის შენარჩუნებას რომელშიც ოპერირებს და საქმიანობის მსვლელობისას ადევნებს თვალს გარემოსდაცვით მთლიანობას.

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები

ჯგუფის მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.

გარემოს დაცვის მიმართულებით ჯგუფის მიზანია:

► ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;

► პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და გაცნობიერების/ჩართულობის ამაღლება;

► ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;

► მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება.

კომპანიების საქმიანობას არეგულირებს მსოფლიო კანონმდებლობა საზღვაო გადაზიდვების შესახებ. კომპანია UKRFERRY რომელიც როგორც „ჯორჯია სი ვეის“ -ის, ასევე მისი შვილობილის მენეჯმენტშია ჩართული, აღებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001:2000 2001 წლის 11 დეკემბერს, რაც ადასტურებს მის მაღალ ხარისხს, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს გადაზიდვის ვაჭრობის და სამგზავრო და ტვირთის გადაზიდვის სფეროში.

კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია

შპს „ჯორჯია სი ვეის“ მის შვილობილ კომპანიასთან ერთად წარმოადგენს ერთიან ბიზნეს-ჯგუფს. „კომპანია“ სრულად აკონსოლიდირებს შვილობილის ფინანსურ შედეგებს და წარადგენს ერთიანი ბიზნეს-ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგება შეიცავს შვილობილების ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან . „ჯორჯია სი ვეის“ რომელიც ფლობს კორპორაცია „პოლონია თრეიდინგ“-ის 100%-ს, ასევე დაქირავებული ყავს მის მფლობელობაში არსებული გემი და მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი ნამეტი ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. „ჯორჯია სი ვეის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით.

შპს „ჯორჯია სი ვეის“ ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი 2024 და 2023 ფისკალური წლების 31 დეკემბრით დასრულებული ორწლიანი პერიოდის მონაცემები:

	31-დეკ-2024	**31-დეკ-2023**	**პროცენტული ცვლილება**
შემოსავალი რეალიზაციიდან	24,149,672	22,408,912	7%
წმინდა მოგება/ზარალი	(346,519)	(233,718)	33%
მთლიანი აქტივები	22,363,806	24,758,301	-11%
მთლიანი ვალდებულებები	22,363,806	24,758,301	-11%

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. უკრაინა და თურქეთი.
საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ინტერპრეტაციებში.

2022 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, კერძოდ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა ომმა უკრაინასა და რუსეთს შორის გამოიწვია მილიონობით უკრაინელის გადასახლება ქვეყნიდან და ასევე გართულდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მომარაგება უკრაინული ნაწარმით.

ხელმომწერი პირი:
დირექტორი: მალხაზი ფოჩხუა

30 სექტემბერი, 2025

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. უკრაინა და თურქეთი.
საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ინტერპრეტაციებში.

2022 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, კერძოდ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა ომმა უკრაინასა და რუსეთს შორის გამოიწვია მილიონობით უკრაინელის გადასახლება ქვეყნიდან და ასევე გართულდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მომარაგება უკრაინული ნაწარმით.

ხელმომწერი პირი:
დირექტორი: მალხაზი ფოფხუა

30 სექტემბერი, 2025

LLC GEORGIA SEA WAYS
415099020